ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44.44221743**

თარიღი:**23/06/2022**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა

ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო

კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის დანიშვნისა და საკონკურსო კომისიის

დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-38 მუხლების, 126[1] მუხლის პირველი, მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი პეტრე ადამაძე.
3. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის დებულება დანართის შესაბამისად /დანართი ბრძანებას თან ერთვის/.
4. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს პეტრე ადამაძეს უმოკლეს ვადაში ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვროს საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის დანიშვნისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 იანვრის Nბ44.44210185 ბრძანება.
6. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.
7. ბრძანება, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
9. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი